განკარგულება:**გ-49. 49250595**
თარიღი:**28/02/2025**

სს „ლიბერთი ბანკი“-სათვის (ს/კ 203828304) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით 2 (ორი) წლის ვადით ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში (ს/კ 29.08.34.014.01.540) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 2.0 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის თაობაზე

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულომ განიხილა მუნიციპალიტეტის მერის 2025 წლის 24 თებერვლის №48-482505580 წერილი, რომელშიც ითხოვს თანხმობას სს „ლიბერთი ბანკი“-სათვის (ს/კ 203828304) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით 2 (ორი) წლის ვადით ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში (ს/კ 29.08.34.014.01.540) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 2.0 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 61-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 122-ე მუხლისა და „მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის №669-ე დადგენილების შესაბამისად:

1. მიეცეს თანხმობა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერს სს „ლიბერთი ბანკი“-სათვის (ს/კ 203828304) სარგებლობის უფლებით, პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარით 2 (ორი) წლის ვადით ქალაქ წყალტუბოში, რუსთაველის ქუჩა №25-ში (ს/კ 29.08.34.014.01.540) მდებარე შენობის პირველ სართულზე განთავსებული 2.0 კვ. მ. ფართის გადაცემის შესახებ.
2. კონტროლი განკარგულების შესრულებაზე დაევალოს საკრებულოს ეკონომიკისა და ქონების მართვის საკითხთა კომისიას.
3. განკარგულება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით, მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში (მისამართი: ქ. ქუთაისი, კუპრაძის ქ. №11).

თეიმურაზი ჭეიშვილი

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო-
საკრებულოს თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი